საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION, SCIENCE, CULTURE AND SPORT OF GEORGIA

MES 4 20 00391532

20/05/2020

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს ქალბატონ თამარ გაბუნიას

ქალბატონო თამარ,

როგორც მოგეხსენებათ, ახალი კორონავირუსით (COVID-19) გამოწვეულ პანდემიასთან დაკავშირებით საქართველოში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობისა და დაწესებული შეზღუდვების საფუძველზე, შეჩერებულია კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობა. დღეისათვის ფაქტიურად დახურულია საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი კულტურის ყველა დაწესებულება (თეატრები, მუზეუმები, ორკესტრები, ანსამბლები და ა.შ), რომლებიც გარდა შემოქმედებითისა განიცდიან მნიშვნელოვანელოვან ფინანსურ დანაკარგებს.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, გარკვეული შეზღუდვებით უკვე ნებადართული გახდა კულტურულ-შემოქმედებითი დაწესებულებების საქმიანობის ეტაპობრივად განახლება. შესაბამისად, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ, მიმდინარეობს სხვადასხვა ქვეყნების მიერ, სპეციალურად კულტურის სფეროში გამოცემული, სოციალური დისტანციისა და უსაფრთხოების წესების მარეგულირებელი დოკუმენტაციის შესწავლა და მათ საფუძველზე შესაბამისი რეკომენდაციების პროექტების შემუშავება.

ვინაიდან უსაფრთხოების სტანდარტების შემუშავების და დარგობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით სექტორული გაიდლაინების შექმნისა და დანერგვის (მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალებისთვის, საგამოფენო სივრცეების, თეატრებისთვის, კინოწარმოებისთვის, მუსიკალური და ქორეოგრაფიული ორგანიზაციებისთვის და ა.შ) პროცესი გარკვეულ დროს მოითხოვს და ამასთან, შესაბამისი რეგულაციების დამტკიცება, წარმოადგენს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპეტენციას, მოგმართავთ თხოვნით, წარმოგვიდგინოთ თქვენი პოზიცია/ პასუხები შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით, კერძოდ:

1. რა თარიღიდან და რა პირობებით იქნება შესაძლებელი კულტურის ორგანიზაციების საქმიანობის აღდგენა, კერძოდ მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალების გახსნა

0102 ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. N52
52 Dimitry Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia
ტელ/Tel.: (+995 32)2 200 220

ვიზიტორებისათვის და თეატრების, ორკესტრების, ანსამბლების სარეპეტიციო საქმიანობის დაწყება?

მოცემულ შემთხვევაში ასევე დასაზუსტებელია, ადამიანებს შორის დადგენილი დისტანციის (2 მეტრი) დაცვის პირობებში:

1.1. ადამიანების რაოდენობის (მაგ. 10 ადამიანი) შეზღუდვა გავრცელდება მთლიანად შენობაზე (რომელიც შეიძლება რამდენიმე სართული და 1000 კვ.მ ფართობზე მეტიც კი იყოს) თუ კონკრეტულ სივრცეში (მაგ. სარეპეტიციო სივრცეში, სცენაზე, საექსპოზიციო დარბაზში) ერთდროულად მყოფი ადამიანების რაოდენობაზე?

1.2. შეეხება თუ არა ვიზიტორთა ერთდროულად დაშვების რაოდენობრივი შეზღუდვა (გარდა დისტანცირების მოთხოვნისა) ღია სივრცეებს მაგ. მუზეუმ-ნაკრძალებს, რომელთა ტერიტორიაც რამდენიმე ჰექტარს შეადგენს?

2. რა თარიღიდან და პირობებით იქნება შესაძლებელი მასობრივი კულტურული ღონისძიებების (სპექტაკლი, კონცერტი, ფესტივალი და.ა.შ) გამართვა?

მოცემულ შემთხვევაში ასევე დასაზუსტებელია, ადამიანებს შორის, დადგენილი დისტანცის (2 მეტრი) დაცვის პირობებში:

2.1 დახურულ სივრცეებში მაყურებლის ზღვრული რაოდენობა და განთავსების წესი.

2.2 ღია სივრცეებში, მაყურებლის ზღვრული რაოდენობა.

მითითებული საკითხების დაზუსტება, შესაძლებლობას მოგვცემს წარმოგიდგინოთ უფრო დეტალურად დამუშავებული რეკომენდაციების პროექტები კულტურის ცალკეული დარგისათვის, რაც ასევე უმნიშვნელოვანესია კულტურული ღონისძიებების დაგეგმვისა და კულტურის დაწესებულებების საქმიანობის აღდგენის კუთხით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ გამოიჩინოთ გულისხმიერება და შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადებში გვაცნობოთ თქვენი პოზიცია დასმულ კითხვებთან დაკავშირებით.

აქვე მოგმართავთ თხოვნით, განიხილოთ უახლოეს დღეებში, თქვენთვის მისაღებ დროსა და ფორმატში სამუშაო შეხვედრის გამართვის საკითხი, რომელსაც დაესწრებიან თქვენი და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პასუხისმგებელი პირები.

ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი ნაყოფიერი თანამშრომლობა შესაძლებლობას მისცემს კულტურის სფეროს დადგენილი წესების დაცვით დაუბრუნდეს საქმიანობის ჩვეულ რეჟიმს, რაც უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, როგორც ტურიზმის განვითარების, ასევე სექტორის სოციალურ-ეკონომიკური და საზოგადოების ფსიქო-ემოციური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში, სამუშაო შეხვედრის ორგანიზების საკითხებთან დაკავშირებით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხრიდან საკონტაქტო პირი იქნება, კულტურის დეპარტამენტის უფროსი ნანა დოლიძე (საკონტაქტო ინფორმაცია: ტელ. 599 58 48 85; ელ.ფოსტა ndolidze@mes.gov.ge).

პატივისცემით,

საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის სამინისტრო
მინისტრის მოადგილე
ხარატიშვილი ლევან